გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-სახეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობაღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც მალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდათფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წერინოვისეულ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—35)



გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

**ბრძოლა**

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემს საზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.


ტფილისი, 10 ივლისი

რვა ივლისიდგან მოსულმა დეპეშამ საყურადღებო ამბავი მოგვიტანა. ინგლისში საპარლამენტო არჩევანები გათავდა და ამორჩეულ იქმნენ: 261 კონსერვატორი, 50 უნიონისტი, 272 გლადსტონის მომხრე, 9 პარნელისტი და 68 ანტიპარნელისტი. მომავალს პარლამენტში ინგლისის ორ უმთავრეს საპოლიტიკო დასს, კონსერვატორებს და ლიბერალებს, შესამჩნევათ ეცვლებათ ფერი. აქამდისინ კონსერვატორების და მათი მომხრეების უნიონისტების რიცხვი სჭარბობდა, ეხლა-კი ლიბერალების და მათ მომხრეთა ირლანდიის დეპუტატთა რიცხვი გადააჭარბებს. კონსერვატორებს სულ ექნებათ 261+50, ანუ 310 ხმა; ლიბერალებს-კი 272+68+9, ანუ 349 ხმა.

აქედგან ცხადათა სჩანს, რომ გლადსტონმა აჯობა მარკიზ სალიუსბერის და, მაშასადამე, მეთაურობაც მომავალი ექვსი წლის განმავლობაში გლადსტონს დარჩება. ცხრა პარნელისტმა რომ უღალატოს გლადსტონს, მაინც 340 ხმა დარჩება, ოც-და-ათით მეტით კონსერვატორებზედ. უნდა შევნიშნოთ, რომ გამარჯვებით-კი გაიმარჯვა გლადსტონმა, მაგრამ მცირედი უმრავლესობა, რომელიც ლიბერალების დასს ექნება, ხელს შეუშლის და ისე თამამად ვერ იმოქმედებს გლადსტონი, როგორც მაშინ, როცა ძლიერი უმრავლესობა ეყოლებოდა.

ძლიერი იქნება, თუ სუსტი გლადსტონის დასი, მეთაურობა მაინც ამ გამოჩენილ მოხუცს დარჩება და დღეს თუ ხვალ სამუდამოდ გადასწყდება ირლანდიის ბედ-იღბალი. ჩვენთვის სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებასა აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა. ოც-და-ათი წელიწადია გლადსტონი იმ აზრს ქადაგებდა, ირლანდიას თვით-მმართველობა უნდა მიენიჭოს, თავისი ბედი თვითონ ირლანდიელებმა უნდა განაგონო, უსამართლობაა, რომ განათლებული ინგლისი ირლანდიის ერს სჩაგრავსო; დღეს ამ ბრწყინვალე აზრმა გაიმარჯვა, ინგლისის ერმა შეისმინა მოხუცი გლადსტონის ღაღადება და პარლამენტში მომეტებული ნაწილი დეპუტატთა იმისი მომხრენი გაგზავნა. ეტყობა, ინგლისელები დარწმუნდნენ, საშიში არა არის-რა, რომ ირლანდია თავისუფალი იყოს, ამით არც სახელმწიფოს ერთობას რამე დააკლდება და არც ბრიტანიის იმპერიის სიდიადეს. წინაალმდეგ ამისა, შეიძლება ირლანდიის განმორებამ სარგებლობა მოუტანოს ინგლისს. მთავრობა, გაბმული შინაურ მოუწყობელ საქმეებში, დიდ ყურადღებას ვეღარ აქცევდა გარეშე საქმეებს და მით მის საგარეო პოლიტიკას სიმკრთალე ეტყობოდა.

კონსერვატორები სულ სხვა აზრისანი იყვნენ და არიან ეხლაც. ირლანდიისათვის თვით-მმართველობა ინგლისის დაღუპვას მოასწავებსო, დავაარსებთ თუ არა დუბლინში საკუთარ პარლამენტს, ამბობდა კონსერვატორების მეთაური მარკიზი სალიუსბერი, მაშინვე ოლქი ულსტერი აჯანყდება და შინაური ომი დაიწყებაო. საქმე იმაშია, რომ ირლანდიის მკვიდრთა მომეტებული ნაწილი კათოლიკენი არიან, ულსტერმი-კი სცხოვრებენ ლოტრანგნი. აი ამაზედ ამბობდა სალიუსბერი, რომ უსათუოდ კათოლიკები მოინდომებენ ლოტრანგთა დაჩაგვრას და ომი დაიწყებაო, მაგრამ ასეთმა მუქარამ ვერ იმოქმედა ამომრჩევლებზედ და სალიუსბერიმ წააგო საქმე.

სალიუსბერის დამარცხებას და გლადსტონის გამარჯვებას ინგლისის საგარეო პოლიტიკაზედაც ექნება გავლენა. საზოგადოდ კონსერვატორები და მათი წინამძღოლი სალიუსბერი რიხიანი პოლიტიკის მიმდევარნი არიან, რუსეთს გრიჭაში უდგანან და ერთს ვაივაგლახს ასტეხენ ხოლმე, თუ-კი რუსეთმა დააპირა ერთის ნაბიჯის წინ გადადგმა ან აღმოსავლეთისკენ, ან დასავლეთისკენ. ამისთვის კონსერვატორების კაბინეტი ყოველთვის მეგობრობდა იმ სახელმწიფოთ, ცხადად თუ ჩუმად, რომელნიც რუსეთს წინააღმდეგობასა უწევენ.

ლიბერალების დასი-კი სულ სხვა პოლიტიკას ადგია გარეშე საქმეებში. გართული შინაურის საქმეებით, რომელთაც დიდს მნიშვნელობას აძლევს ლიბერალთა დასი და კერძოდ მეთაური ამ დასისა, მისტერი გლადსტონი, მშვიდობიან პოლიტიკას ადგია და წარა-მარად არავის აყალმაყალს არ უტეხავს. რაღა თქმა უნდა, ასეთი მიმართულება ინგლისის პოლიტიკისა მომავალი ექვსის წლის განმავლობაში ხელს შეუწყობს რუსეთს, უფრო თამამად ამოქმედებს და შეიძლება რუსეთმა მოახდინოს იმის აღსრულებაში მოყვანა, რასაც ვერა ბედამდა სალიუსბერის დროს.

გასაკეთებელი-კი რუსეთს რო-

# ფელეტონი

## ხოლერის შესახებ

არა გვიჭირს-რა.—ხოლერის ნეკროლოგი.—სამშობლო ხოლერისა.—ინდოეთის სასანიტარო წეს-წყობილება.—ხოლერა ინდოეთში.—ხოლერის მოგზაურობა.—ბაქტერია ხოლერისა.—წამალი ხოლერისა.—პატარა გამოცანა.

საითაც მიიხედავს კაცი ამ ჟამად, ყველას პირზედ აკერია „ხოლერა". მეტი სალაპარაკო ალარავისა აქვს. გაზეთები ხომ სულ ხოლერის ამბითაა გატენილი.

მე ჩემის მხრით თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ტფილისს ხოლერა თავზედ გადაახტება და ასცდება. მართალია, ბაქოსა, ასტრახანსა და სარატოვში ხალხი საკმაოდ ხდება ივად, მაგრამ ისიც უნდა სთქვას კაცმა, რომ ჯერ ერთი ამ ქალაქებში სხვა დროსაც ზაფხულობით ძლიერ გავრცელებულია ხოლმე კუჭის ავადმყოფობა და ხომ დამტკიცებულია, რომ ეს სენი ძლიერ ხელს უწყობს ხოლერას. მეორეც ისა, რომ ამ ქალაქების სისუფთავეზედ ნულარას იტყვით.

ჩვენ-კი ჯერ-ჯერობით არა გვიჭირს-რა და არა მგონია, რომ ამას იქითაც ძლიერ გაგვიჭირდეს, რადგანაც ეხლაც საკმაოდ დამზადებულნი ვართ ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად და იმედია, რომ ამას იქითაც ფარ-ხმალს არ დავყრით და მხნედა და მედგრად გავუწევთ ბრძოლას დაუპატიჟებელს სტუმარს. ამიტომ ყველასა ვთხოვ, ნუ შეგვეშინდება, გულის სიმშვიდეს ნუ დავკარგავთ და ყოველ გვარი ღონისძიება ვიხმაროთ ამ ბებრუხანა ხოლერის გასაძევად.

დიაღ, ამ ჟამად ხოლერა ბებრუხანა გახლავთ და გარწმუნებთ, რომ ისე საშიშო აღარ არის, როგორც წინად იყო: კბილები დასცვივდა, ბრჭყალები დაუჩლუნგდა და უწინდელსავით ვეღარ ავნებს ადამიანსა.

**

რადგანაც მე დარწმუნებული ვარ, რომ მეცნიერება დღეს თუ ხვალ ბოლოს მოუღებს ხოლერას და ეს საზიზღარი ბებრუხანა მალე გამოესალმე ქვეყნიერებას, ამიტომ ნება მიბოძეთ ეხლავე გიამბოთ იმის ნეკროლოგი.

ხოლერის სამშობლო ინდოეთია. იქ იბადება და იქ იზრდება. აკვანივით წყნარად არწევს ხოლერას მდინარე განგი და მის ნაპირების საშინელი, წარმოუდგენელი უსუფთაობა და უწმინდურება ძუძუს აწოვებს და მოწიწებით უვლის და ჰზრდის საყვარელ შვილივით.

1886 წელს მკურნალმა შაკესპერმა ინგლისელების ადგილები დაათვალიერა ინდოეთში და აღმოჩნდა, რომ: „ინდოელნი სასმელადა ხმარობენ დაგუბებულს წყალს, რომელშიაც საკმაოდ არის პირუტყვთა გახავალი და შიგ მცენარეები ხაობენ. ეს წყალი საძაგელის ფერისა და გემოსია, მყრალი, გულის ამრევი. ბენგალიის პროვინციის 46,603 ქალაქ შორის არც ერთში არ არის გამართული არც ფეხის-ადგილები და არც არხები უსუფთაობისათვის. ადამიანის განავალი სახლების წინა ყროლდება. ქალაქებში ისეთი საძაგელი და მყრალი სუნი ტრიალებს, რომ ადამიანს სუნთქვა უძნელდება; ზოგიერთ ადგილას მთელი ტბა სდგას უწმინდურებისა". მკურნალმა შაკესპერმა თავის თვალით ნახა ერთი ასეთი ტბა, რომელსაც 150,000 ოთხ-კუთხი ფუტის ადგილი ეჭირა!!

როგორ მოგწონთ ეს ადგილები? თქვენი-კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ინდოეთის საყვარელს შვილს—ხოლერას თავის მხრივაც ძლიერ მოსწონს და უყვარს თავის დედა-სამშობლო და ყოველ წლივ არ აკლებს თავის უხვს წყალობას. 11 წლის განმავლობაში ინდოეთის იმ ადგილებში, რომელიც ინგლისს ეკუთვნის, გარდაიცვალა ხოლერით 3.109,958 კაცი (ეს ცნობანი ოფიციალურია, ნამდვილად-კი, რასაკვირველია, მეტი უნდა იყოს)! 1888 წელს მარტო მადრასის პროვინციაში 58,677 გარდაიცვალა ხოლერით. ამ პროვინციაში 58 ქალაქია და ამათში 51 ქალაქში ხოლერა მძვინვარებდა და მხოლოდ 7 ქალაქი გადარჩა ამ სენსა.

**

გამღება ხოლმე ხოლერა ამ აუარებელის მსხვერპლით, წამოიზრდება, აიდგავს ფეხსა და დაიწყებს ხოლმე სპარსეთსა და შუაგულს აზიაში ცელქობასა და ნავარდობას. შუაგულ აზიის ხალხს ძლიერ უყვარდა და ეხლაც უყვარს ხოლერა, ყველგან სიხარულით ეგებებიან ხოლმე, არავინ ებრძვის, არავინ ეწინააღმდეგება და გათამამებული ხოლერა ხანდახან ევროპაშიაც გაემგზავრებოდა ხოლმე და თითქოს დასცინოდა იქაურს ცივილიზაციასა და წარმატებას, თითქოს ეუბნებოდა ევროპიელთ, არც თუ თქვენა სცხოვრობთ აზიელებზედ კარგად და სუფთადაო.

მეორე გზაცა ჰქონდა ხოლერას. გამოივლიდა ხოლმე სპარსეთს, ჩაჯდებოდა გემში და კასპიის ზღვით ავიდოდა ასტრახანს, მერე გასწევდა მდინარე ვოლგით და იმდენს ხანს მოგზაურობდა მის ნაპირებზედ, ვიდრე დაიღლებოდა, მოიქანცებოდა და მერმეგ ან უკან დაბრუნდებოდა ხოლმე, ან არა-და, სიცივის გამო სული ამოხდებოდა სადმე.

ასტრახანის გუბერნიას ხუთჯერა სწვევია ხოლერა სპარსეთიდგან (ოთვაჯეროაც სტავროპოლისა და სარატოვის გუბერნიებიდგან, სულ ცამეტჯერ): 1823 წელს, 1830 წელს, 1847 წელს, 1848 წელს და 1853 წელს. ამ წლებში მარტო ქალაქ ასტრახანში ხოლერას უმსხვერპლია ოფიციალურ ცნობებით 13,233 მცხოვრები.

წრეულაც ხოლერამ თავისი ძველი გზა არ დაივიწყა და ასტრახანს ავიდა, საცა ხალხი საკმაოდ ხდება ავად.

გორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ძალიან ბევრი აქვს. მარტო ბოლგარიის საქმე ისე მძიმეა, რომ ამ უკანასკნელ ხუთ-ექვსს წელიწადში არც-კი ცდილა რუსეთის დიპლომატია აღეძრა ეს საგანი. აი დღესაც სოფიიდგან მოსულს დეპეშიდგანა სჩანს, რომ ჩამორჩობა გადაუწყვეტიათ რუსეთის მომხრეთათვის. მოდი და მოითმინე ასეთი გაბიაბრუება იმ ხალხისაგან, რომელმაც თავისუფლება იშოვა რუსეთის შემწეობით. მაგრამ ევროპის მდგომარეობა იმ გვარი იყო, რომ რუსეთი ამაზე მწარე შეურაცხებას ითმენდა ბოლგარელ „ბრატუშკებისაგან“. ადვილად საფიქრებელია, რომ რუსეთი ხმას აიმაღლებს გლადსტონის გამარჯვების შემდეგ, მაგრამ შარშანდელმა შიმშილმა და წრევანდელმა ხოლერამ დიდად დაუცარა ხელი რუსეთს და შეიძლება კიდევ დიდხანს არ ჩაერიოს ევროპის საქმეში.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 8 ივლისს დილით ავად იყო 21 კაცი და 3 ქალი. იმავე დღეს მიიყვანეს ერთი კაცი, ტერ-ზახაროვი (7 ნაწილი, ავლაბარი, საკუთარი სახლი). მორჩა 4 კაცი: რუსიშვილი, აბაშკინი, სტიაჟკინი და მამედ-ოღლი; გარდაიცვალა 2 კაცი და 1 ქალი: მედელაშვილი, გოლდავა და სალეცკი; 8 ივლისს ხოლერით ავადმყოფი იყო 16 კაცი და 4 ქალი. ამათში 12 რჩება.

8 ივლისს ღამე სამკურნალოში მიიყვანეს 1 კაცი—გრიქუროვი (6 ნაწილი, ჩითახოვის ქარხანა) და 1 ქალი, პანტელეევისა (კოლიუჩი ბალკა, პეტროვის სახლი). ღამე გარდაიცვალა 2 კაცი: ვასილიევი და გრუშინსკი. 9 ივლისს დილით იყო 15 კაცი და 5 ქალი.

ამას გარდა სამკურნალოში წაიყვანეს ანჩისხატის მთავარი კაფეტივიძე, რომელიც გზაში გარდაიცვალა.

სამკუნალოს გარეშე 7 ივლისს ავად გახდა და სამკურნალოში გაგზავნეს დათიკო ადამია, (7 ნაწილი, რეიტერის ქუჩა № 96). იმავე დღეს ხოლერით ავად გახდა არდაგან—გირეი იაკოვლევი (8 ნაწილი, დესისიმონოვის ქუჩა, ივანიშჩევის სახლი) ავად გახდა იმავე დღეს პოლიციელის ცოლი პრასკოვია ივანეს ასული ლუკაშევიჩი, 30 წლისა, ტფილისის მოქალაქე პეტრე პეტრეს ასული ფერტი, 50 წლისა (9 ნაწილი, ვარანცოვის ქუჩა, საკუთარი სახლი) და მეეტლე იოსებ ტრიასკო (9 ნაწილი, საკუთარი სახლი).

7 ივლისსავე ავად გახდა ხოლერინით 2 ნაწილის პოლიციელის ცოლი ნატალია მაზურჩიკი.

იმავე დღეს გარდაიცვალა იტალიის ქვეშევრდომი, ლაზარ ფერსოლი (მიხეილის ქუჩა, სახლი № 12), ნუხის ვაჭარი მაშადი-ჯაფარ-ჰაჯინალი-ოღლი, ქვრივი, სანა-ბაირამყიზი (6 ნაწილი, ხარფუხი, ბებუთოვის სახლი) და ტფილისის მოქალაქე არტემ ასატუროვი.

8 ივლისს ხოლერით ავად გახდნენ: ევვა სადათოვისა (ქართველია) 32 წლისა (მუხრანის ქუჩა, ხოსროევის სახლი) ტფილისის მოქალაქის ცოლი ანნა კუჯაროვისა 30 წლისა (8 ნაწილი, სურბ-კარაპეტის ქუჩა, ევანგულოვის სახლი), ერევნის ჯარის-კაცი მაჰამედ აბაშევი (საეჭვო ავადმყოფია) და სამხედრო სამკურნალოში გაჰგზავნეს; იქვე გაჰგზავნეს წმ. ნადეჟდას სახელობაზედ დაარსებულ თავ-შესაფარიდგან ყმაწვილი ივანე სადოვსკი, 11 წლისა; ტფილისის ადგილობრივის ჯარის-კაცი სანდლერი. იმავე დღეს გარდაიცვალა სპარსეთის ქვეშევრდომი ბალად ბაბაევი (ახალი არსენალის ქუჩა, საკუთარი სახლი).

გარდაიცვალა კიდევ ტიგრან ყაზარას ძე ვართანოვი, 25 წლისა (7 ნაწილი, ლაზარევის ქუჩა სარქის მირზოევის სახლი).

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 7 ივლისს სამკურნალოში მიიყვანეს 25 ავადმყოფი, გარდაიცვალა 14, მორჩა 9, ავად არის 120. სამკურნალოს გარეშე ავად გახდა 177, გარდაიცვალა 97, მორჩა 58. სამხედრო ლაზარეთში მიიყვანეს 1, ავად არის 29. ბაქოს საპატიმროში ავად გახდა 3, ავად არის 12.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 7 ივლისს შუშაში ავად გახდა 4, მორჩა 1, გარდაიცვალა 4, ავად არის 23. მაზრაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 12, ავად არის 4. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 12, მორჩა 3, გარდაიცვალა 12, ავად არის 12. ყაზახის მაზრაშე ავად გახდა 1, ავად არის 2. განჯაში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 15, ავად არის 77, ამას გარდა საპატიმროში ავად გახდა 1 პატიმარი. მაზრაში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 16, ავად არის 10. ნუხაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 8, მორჩა 2, ავად არის 7, მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, მორჩა 1, ავად არის 1. ზანგეზურის მაზრაში ავად გახდა 9, მორჩა 5, გარდაიცვალა 7, ავად არის 7. მთელს გუბერნიაში 144 ავადმყოფია.

*** დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი იუწყება: 4 ივლისს პეტროვსკში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, ოლქებში ავად გახდა 49, გარდაიცვალა 32, მორჩა 1, ავად არის: პეტროვსკში 3. ოლქებში: კიურინისაში—21, სამურისაში—26, კაიტაგო-ტაბასარანისაში 16, დარგინისაში 24, კაზიკუმუხისაში 8 და თემირხანშურას 2. 7 ივლისს პეტროვსკში ავად გახდა 5, ამათში 4 გარდაიცვალა. დარუბანდში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. ოლქებში ავად გახდა 111, გარდაიცვალა 41, მორჩა 6. ავად არის: შურაში—2, პეტროვსკში—8, დარუბანდში —1, ოლქებში: კიურინისაში—98, კაიტაგო-ტაბასარანისაში—67, საზურისაში—38, დარგინისაში—23, კაზიკუმიხისაში—24, თემირხანშურისაში 41 და გუნიბისაში 2.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება: 7 ივლისს ქ. ნახიჩევანში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2, მახლობელ სოფლებში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1.

*** ჩვენის საადგილ-მამულო ბანკის ხარჯით მოწვეულ იქმნა ხარკოვის უნივერსიტეტის საჰიგიენო კათედრის ასისტენტი—მკურნალი ნერსეს ზაქარიას ძე უმიკოვი. იგი დაინიშნა მკურნალად სიღნაღისა და თელავის მაზრაში, ვიდრე მეორე მკურნალსაც იშოვნიან, რომ ხსენებულ მაზრებში თვითო-თვითო ცალკე მკურნალი იყოს. ბ-ნს უმიკაშვილს თან აყოლებენ ოთხს ფერშალს თვითო მაზრისათვის ორ-ორს. თან ეძლევა ყოველი სადიზინფექციო წამლები და სახელდახელო აფთექი. ბ-ნმა უმიკოვმა უნდა პირველ ხანს მოიაროს სოფლები, ინახულოს იქაური მკურნალი და პოლიციის მოხელენი, მათთან მოლაპარაკებით აღნიშნოს, სად რა ღონისძიებაა საჭირო ჯერ იმისათვის, რომ ხოლერას გზა და სავალი არ მიეცეს და, თუ სადმე გაჩნდა ეგ ჭირი, როგორმე მოევლოს და ეპატრონოს სოფელს ხალხსა. ამასთანავე ბ-ნი უმიკაშვილი თავის ფერშლებით მოვალეა მკურნალობა მუქდად გაუწიოს ხალხს, საცა და როცა-კი საჭიროება მოითხოვს.

სხვა მაზრებისთვის ჯერ მკურნალები ნაშოვნი არ არიან, თუმცა-კი იმედოვნებენ, რომ ამ ორიოდ დღეში საჭირო რიცხვი მკურნალებისა და ფერშლებისა (სულ ექვსი მკურნალია საჭირო და თორმეტი ფერშალი) შევსებულ იქმნება.

*** 9 ივლისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, კრება ჰქონდა თერთმეტს სასანიტარო რაზმს და ქალაქის გამგეობას. კრება დაიწყო ცხრა საათის ნახევრიდგან და გასტანა ღამის თორმეტ საათამდე. უმთავრესად მსჯელობა ჰქონდათ მეთერთმეტე სასანიტარო რაზმის თავმჯდომარის ნ. ი. ნიკოლაძის სარჩიელის შესახებ, რომ დეზინფექცია დროზედ უზრუნველ ვერა ჰყოფს ხოლერიან ავადმყოფთა სადგურებს, მათს საცმელებსა და ქვეშაგებს. საქმე ის არისო, ამტკიცებდა ბ-ნი ნიკოლაძე, რომ ხოლერის მოსპობაში პირველი ადგილი უჭირავს დროზედ მოხდენილს დეზინფექციას. ქალაქის დეზინფექტორი-კი ვერ ასწრობს, რადგან მთელს ქალაქში ერთი ადგილიდგან მეორეზე გარბის და ამ სიარულში ბევრს დროსა ჰკარგავსო. ბ-ნ ნიკოლაძის აზრით, უკეთესი იქმნებოდა, რომ თავის ნაწილში ყოველმა სასანიტარო რაზმის ექიმმა თვითონ მოახდინოს დეზინფექციაო. მაშინ ერთს წუთსაც აღარ დახანდება საქმე და ბაცილები ველარ მოედება ხალხსაო. ექიმებთა მომეტებულ ნაწილმა არ იკისრა დეზინფექცია და ეს ჩინებული სარჩიელი არ მიიღო კრებამ.

*** 8 ივლისს ერევნის გუბერნიიდგან ტფილისში დაბრუნდა პროფესორი ა. ს. ხახანაშვილი, რომელიც ამ გუბერნიაში სამეცნიერო გამოკვლევისთვის იყო გაგზავნილი მოსკოვის საიმპერატორო საარხეოლოგიო საზოგადოების მიერ. ბ-ნი ხახანაშვილი რამდენსამე დღეს დაჰყოფს ტფილისში და შემდეგ კახეთს გაემგზავრება და იქაურს ძველს მონასტრებსა, ეკკლესიებს და ქრისტიანობის დროის ძველ ძეგლ-ნაშთებს დაათვალიერებს.

*** მეთერთმეტე სასანიტარო რაზმის თავმჯდომარემ ბ-ნმა ნ. ი. ნიკოლაძემ შეატყობინა ქალაქის თავს, რომ თუმცა ორჯელ გაასუფთავებინა რაზმმა ავჭალაში სათავე მილის

იმედია, რომ რუსეთის მთავრობა ყოველ გვარს ღონისძიებას მიიღებს იმის მოსასპობად. მეცნიერებამ ამ ჟამად უკვე აღმოაჩინა, რისაგანაც წარმოსდგება ხოლერა და მაშასადამე ეხლა ადვილია მასთან ბრძოლა. დღეს თუ ხვალ ხოლერას ბოლო მოეღება. ამბობენ, ვითომ ეს კისერ-მოსატეხი ხოლერა ევროპაშიაც გადაბძანებულაო. თუ ეს ამბავი მართალია, გავბედავთ და ვიტყვით, რომ იქმნება ეს იმისი უკანასკნელი მოგზაურობა იყოს ევროპაში და სწორედ იქ გააფშეკინებენ ფეხებს.

**

ამ ჟამად მკურნალებმა უკვე აღმოაჩინეს ხოლერის ბაქტერია. ეს ბაქტერია თუ ადამიანს კუჭში ჩაჰყვა, საშინლად გამრავლდება და ადამიანის განავალს მილიონობით გამოჰყვება ხოლმე. ეტყობა, ადამიანის კუჭში ძლიერ კარგი ნიადაგი ყოფილა ამ საზიზღარ ბაქტერების გამრავლებისთვის. ეს ბაქტერია ისეთი პატარა მწერია, რომ კაცი თვალით ვერ დაინახავს და თუ ხოლერით ავადმყოფის განავალი გასინჯეთ გამადიდებელ შუშით, შიგ რამდენსამე მილიონს ბაქტერიას დაინახავთ, ნიშან მძიმეს (,) მინაგვარსა. ადამიანის კუჭს გარდა ხოლერის ბაქტერია არც ერთის ცხოველის კუჭში არა სცოცხლობს (ქათმების ავადმყოფობის მიზეზი ცოტა სხვაფრივია). ადამიანის განავალში ხოლერის ბაქტერია საშინლადა მრავლდება ძ მაშასადამე ფეხის ადგილების გაწმენდა-გასუფთავებისთვის უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყურადღება. ბაქტერიები ძლიერ სუბუქია, ჰაერსა ჰყვება და სუნთქვის დროს ადამიანს პირში ჩაუვარდება და აქედგან კუჭსა და ნაწლავებში ამოჰყოფს თავს. ადამიანის საღს კუჭში მარილის სიმჟავე არის და ამიტომ იქ ხოლერის ბაქტერია ვერ იცოცხლებს და ვერც გამრავლდება. ავადმყოფის კუჭი-კი მოშლილია და მარილის სიმჟავე სრულიად არა აქვს.

რაც უფრო მეტი ხანი დარჩება ჰაერზედ ადამიანის განავალი, იმდენად შიგ მომეტებული ბაქტერიაა ხოლერისა და მაშასადამე უფრო საშიშია ადამიანისთვის.

ბაქტერიასა ჰხოცავს სხვა-და-სხვა სიმჟავე და სადეზინფექციო წამლები: კარბოლის სიმჟავე, დაუშლელი კირი, სულემი და სხ.

**

რა არის ხოლერის წამალი? ათასი მკურნალი და არა მკურნალიც სხვა-და-სხვა წამალს ასახელებენ ხოლერის წინააღმდეგ. „აიღეთ ნიორი, დაუშლელი კირი, კუპოროსი, არაყი, ერთად შეაზავეთ და“... მტკვარში გადაყარეთ, დაუმატებთ ჩვენ ჩვენის მხრით. ხოლერის წამალი ერთად ერთია—სისუფთავე. აი დასამტკიცებელი მაგალითებიც: 1884 და 1885 წწ. საფრანგეთში (ალჟირშიაც) 39 მილიონ მცხოვრებთაგან 13,000 კაცი გარდაიცვალა ხოლერით, იტალიაში 26,800,000 მცხოვრებთაგან—35,000 და ისპანიაში 17 მილიონ მცხოვრებთაგან—180,000 კაცი.

ამ ცნობათაგანა სჩანს, რომ იტალია ხუთჯერ მეტად დაზარალდა ხოლერით, ვიდრე საფრანგეთი, ისპანია ექვსჯერ მეტად, ვიდრე იტალია და ისპანია 13—14-ჯერ მეტად, ვიდრე საფრანგეთი.

ეს ცნობანი აშკარად გვიმტკიცებს, რომ ხოლერა იმ სახელმწიფოებს ადენს მუსრს, სადაცა ხალხი უსუფთაოდ და უწმინდურადა სცხოვრობს. ცხადია ამიტომ, რომ ყველა სახელმწიფო მუდამ ჟამს უნდა ზრუნავდეს სისუფთავესა და სიწმიდისათვის ინგლისში ხოლერა არ არის ხოლმე და როცა ინგლისელებს დაეკითხებიან ხოლმე ამის მიზეზს, ასეთს პასუხს იძლევიან: „თქვენც ჩვენსავით დაასუფთავეთ ქალაქები და სოფლები და ხოლერა არ მოგეკარებათო“.

როცა მტერთან ბრძოლას აპირებ, უეჭველად უნდა შეიტყო იმის ძალღონე. თუ მტერს კარგად იცნობ, მაშინ იმასთან ბრძოლ უფრო ადვილია. ხოლერით ავადა ხდებიან: ვისაც ავადმყოფი კუჭი აქვს, ვინც ხოლერის დროს თავის თავს არ მოუვლის, რიგიანადა და წესიერად არ იცხოვრებს. ამათ გარდა, ავადა ხდებიან ისინიც, ვისაც ხოლერისა ეშინიანთ. ომის დროსაც თუჯარი შეშინდა, უეჭველია დამარცხდება. ვისაც საღი კუჭი აქვს, ხოლერა ძნელად შეხვდება და თუ შეხვდა კიდეც, ადვილად აიტანს ამ სენსა. მაგრამ თუ ადამიანს ეშინიან, კუჭი მოძრაობას იწყებს და თუ ვინიცობაა კუჭში ხოლერის ბაცილა არის, იმ წამსვე ნაწლავებში გადავა. ნაწლავებში მარილის სიმჟავე სრულიად არ არის, ბაქტერიები საშინლადა მრავლდება და შხამივითა სწვავს ნაწლავებს. ადამიანს უჩნდება ფაღარათობა, რადგანაც ადამიანის სტომაქი სცდილობს განაძევოს დაუპატიჟებელნი სტუმარნი, ბაქტერიები. თუ ადამიანს საღი სტომაქი აქვს, გაუძლებს ამ სენსა და დასძლევს ხოლერას.

აი მოკლე დარიგებანი ხოლერის წინააღმდეგ: ეცადეთ, რაც შეიძლება სუფთად იცხოვროთ და თავს შიშს ნუ მისცემთ. ფეხის-ადგილები სუფთად შეინახეთ და სადეზინფექციო წამლებით აპკურეთ ხოლმე, მაგალითად დაუშლელი კირი იხმარეთ ამისთვის. ნუ სჭამთ ნურაფერს, რაც მოხარშული, შემწვარი, ან მოხრაკული არ არის. სრულიად ნუ სჭამთ ხოლერის დროს ხილსა. უეჭველად ადუღებული წყალი სვით, ან არა-და, წყალში მარილის სიმჟავე გახსენით (2—5 წვეთი ერთს სტაქანს წყალზედ), შეიძლება აგრეთვე ლიმონის სიმჟავეც. ასეთი წყალი გემრიელი სასმელიც არის და უვნებელიც. წესიერად იცხოვრეთ და თუ ვინიცობაა რაიმე კუჭის ავადმყოფობა იგრძნოთ, იმ წამსვე მკურნალს მიჰმართეთ. მაგრამ ყველაზედ უკეთესი წამალი ხოლერის წინააღმდეგ არის—სისუფთავე, სისუფთავე და სისუფთავე.

**

პატარა გამოცანა. ტფილისის თვით-მმართველობამ 46 ათასი მანათი გადასდო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო მოსკოვის თვით-მმართველობამ-კი 20,000 მანათი. გამოიცანით: რამდენად დიდი ქალაქია ტფილისი მოსკოვზედ? კიდევ გამოიცანით: რამდენად სუფთა ყოფილა მოსკოვი ტფილისზედ? და კიდევ გამოიცანით: რამდენად უფრო იაფი ყოფილა მოსკოვის დაწმენდა-დასუფთავება, ვიდრე ტფილისისა?!

აბრა

წყალისა და ორი ყარაულიც დააყენა, რომ იმ ადგილებში, სადაც ქალაქის მილის-წყლის თიხის მილებია გაწყობილი, სისუფთავე იყოს დაცული, მაგრამ საუბედუროდ ამ ღონისძიებით არა ეშველა-რა საქმესაო, რადგან ამ თვის ცხრაშიაც გაიარა ავჭალაზედ დრაგუნთა ჯარმა და გლდანის ხეობაში დაჰკრა ბინა შესასვენებლადო. ამ შესვენების დროს საშინლად გაუწმინდურებულ იქმნა მილის წყლის სათავეო. მართალია, მეთერთმეტე რაზმმა ყოველი ღონისძიება იხმარა იქაურობის კვლავ გასუფთავებისა, მაგრამ ხმა დადის, რომ ამ ჯარში სამი კაცი აღმოჩენილა საეჭვო ავადმყოფიო და თუ ხოლერის ბაცილა მილის წყალში მოჰყვა, დიდი უბედურება იქმნება არა მარტო ტფილისისათვის, არამედ მთელის მასზედ დაკავშირებულის ქვეყნისათვისო. ამ საბუთებით ბ-ნმა ნიკოლაძემ სთხოვა ქალაქის თავს, რომ ამან მიჰმართოს მთავრობას და აღაკრძალებინოს ავჭალაში ჯარის დაყენება შესასვენებლად. ქალაქის თავმა მაშინათვე გაგზავნა თხოვნა ამის შესახებ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორთან.

⁂ გრაკალი: 9 ივლისს მატარებლით № 24 ტფილისიდგან მომავალი მგზავრი გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის მცხოვრები, ნინა დათუნაიშვილისა ხოლერით ავად გახდა და გრაკალიდგან ტფილისში გაჰგზავნეს.

⁂ ევლახი: მატარებლით № 4 ბაქოდგან მომავალი მგზავრი, ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის მცხოვრები სერგეი გველესიანი ხოლერით ავადმყოფი აღმოჩნდა. ავადმყოფი ევლახის სადგურზედ დასტოვეს ხოლერიან ავადმყოფებთა თავშესაფარში.

⁂ ქუთაისი: მას შემდეგ, რაც ტფილისელებს ხოლერა შემოეპარათ, ჩვენც იმის ლოდინში ვიყავით, რომ ეგ არა-სასურველი მძვინვარე სტუმარი ჩვენც გვეწვევაო. გუშინდლამდე აქ არავითარი შემთხვევა არა ყოფილა, ხოლო გუშინ-კი, 6 ამ თთვისას, ავად გახდა ოჰანეზოვი, ნოქარი აუშტროვისა, ტფილისიდგან ჩამოსული. ექიმები და პოლიცია იმ წამსვე მიეშველნენ, რა წამსაც ოჰანეზოვი ავად გახდა და საღამოს თერთმეტ საათამდე არ მოსცილებიან ავადმყოფს. ავადმყოფს ხოლერის ნიშნები აღმოაჩნდა. ავადმყოფი საკუთარს სადგომშია დაბინავებული. დღეს დილით ხმა გავრცელდა, ვითომ ავადმყოფი ცოტად მოხედვით არისო.

პირველი შემწეობა ავადმყოფს აღმოუჩინეს ქალაქის სასანიტარო ახალგაზდა ექიმებმა: ბ-ნებმა ძნელაძემ, ჯინორიძემ და ნადირაძემ. იქვე დაესწრნენ სხვა ექიმებიც, ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი და ბ-ნი პოლიციის უფროსი.

⁂ სოფ. ანაგა (სიღნაღის მაზრა): 5 ამ ივლისისას, კვირას, რამდენმამე ვაქირელმა და ანაგელმა ყმაწვილმა კაცმა გამართეს სოფ. ანაგაში წარმოდგენა, რომლის შემოსავალი დანიშნულია ანაგის და ვაქირის საწყალის გლეხ-კაცებისათვის. უკეთუ ჩვენს სოფლებს დაუპატიჟებელი სტუმარი, ხოლერა, ეწვია, ამ ფულით იყიდიან წამლებს და მუქთად დაურიგებენ საწყლებს. წარმოადგინეს ალ. მოჩხუბარიძის (ყაზბეგის) სამ მოქმედებიანი დრამა „არსენა“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ხალხი ბლომად დაესწრო და საზოგადოება, რომელიც უფრო გლეხ-კაცობისაგან შესდგებოდა, დიდის აღტაცებით მიეგება და ნასიამოვნები დარჩა, თხოულობდნენ კიდევ განმეორებას ამ გვარის წარმოდგენისას. ამ წარმოდგენის წმინდა შემოსავალი სამი თუმანი და ოთხი მანეთია, რომელიც გარდაეცა წარმოდგენის მოთავეებს მაზრის უფროსთან წარსადგენად და წამლების მოსაპოებლად. თუმცა წარმოდგენის შემოსავალი მეტი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხალხი მეტად ბევრი დაესწრო, მაგრამ ამის მიზეზი ის იყო, რომ ღარიბს ხალხს უსასყიდლოდ ცქერის ნება მიეცა. დიდი მადლობის ღირსნი არიან მოთავენი ბ-ნნი ი. მირიანაშვილი და გ. ტყავაძე, ის ყმაწვილნი კაცნი, რომელთაც ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს, და აგრეთვე ქ-ნნი დარჩიევისა და სამადაშვილისა, რომელთაც არ დაზოგეს თავიანთი შრომა ამ ფრიად კეთილის საქმისათვის.

⁂ სოფ. ჩუმლაყი (სიღნაღის მაზრა): აქ იყო ერთი შემთხვევა ხოლერით ავადმყოფობისა. ასეთივე შემთხვევა ყოფილა სოფ. ზიარაში. ორთავ სოფლებში ფიცხლავ გაუგზავნიათ ფერშალი.

⁂ გაზეთი „Каспий“ სწერს: 5 ივლისს ბაქოში მოვიდა კიევის უნივერსიტეტიდგან ხოლერასთან საბრძოლველად მოწვეული ოთხი სტუდენტი-ექიმი.

ბაქოდგან ტფილისს წავიდა ექიმი გრეჩანინოვი, რომელმაც სასანიტარო ექიმის თანამდებობაზედ უარი სთქვა.

ამ ბოლოს დროს პოლიციამ შენიშნა, რომ მაჰმადიანები თოფის სროლას ჰმართავენ და რევოლვერებსა სცლიან, მოუკვდებათ თუ არა ვინმე ხოლერით. ბ-ნმა პოლიცმეისტერმა უკვე ბრძანება გასცა, რომ თვალყური კარგად ადევნეთ თოფის მსროლელებს და სამართალში მიეცით, ვინც რევოლვერი და თოფი დასცალოსო.

⁂ გაზეთი „Кавказъ“-ი იუწყება: 9 ივლისს დასრულდა სპარსელთა ხოლერიან ავადმყოფთათვის სამკურნალოს შენობა და დღეს, 11 ივლისს, უკვე გამართული იქნება.

მთავრობის მიერ კავკასიაში გამოგზავნილი მკურნალები: ნ. რუტკოვსკი, ვ. ბეგუნი, ე. სლოვსკი და ლუბიცკი და მეაფთიაქე ა. ვეისი 8 ივლისს ბაქოს გაემგზავრნენ.

7 ივლისს ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ სახლისა და ეზოს უსუფთაოდ შენახვისთვის სახლის პატრონს ალექსანიანცს 100 მანათი ჯარიმა ან 3 თთვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. (ალექსიანცს ელისაბედის ქუჩაზედა აქვს სახლი).

⁂ გაზეთ »Нов. Обоз.-ს სწერენ გორიდგან: გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულებმა და მოსწავლე თორმეტმა კაცმა (დ. მიმინოვმა, შ. ჩიტაძემ, ი. ხითაროვმა, ს. ბარამიშვილმა, ა. მირიანაშვილმა, ი. კუზანოვმა, ა. ყანჩელმა, ი. პისეცკიმ, გ. ბურჯანაძემ, ი. მირიანაშვილმა, პ. დონდაროვმა და ს. ტერ-მინასოვმა) სურვილი გამოაცხადეს სასანიტარო დასის შედგენისა და აღუთქვეს ქალაქის მმართველობას, უსასყიდლოდ ვიკისრებთ ქალაქ გორის დათვალიერებასა და დასუფთავება-დაწმენდასაო.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ცხინვალი.** დრო დროს აღარა ჰგავს. ვინ იფიქრებდა, რომ ცხინვალში ამისთანა სისუფთავეს შევესწრებოდით. ამბობენ, ეს სულ ხოლერის საქმე არისო, მაგრამ ხოლერის ხსენებაც ჯერ არსად იყო, რომ ახალმა პოლიციის ბოქაულმა ელ. გ—მა მიჰყო ხელი ხიდების კეთებას, გზების გაგანიერებასა და ქუჩების ქვით დაფენას. აგრეთვე დიდი მეცადინეობა გამოიჩინა ცხინვალის გასუფთავებისათვის სასანიტარო კომისიამ. ჩვენი ცხინვალი დაბა-კი არ არის, ქალაქია. რუსეთის ყველა კეთილგანწყობილ ქალაქში თითო კარლ ივანიჩი არისო; გორმა სხვა ქალაქებს გადააჭარბა, იქ ორი კარლ ივანიჩია... ჩვენს დაბაში სამაგიეროდ ორი მანასე გვყავს. რაც გორისთვის ქალაქია, ის ცხინვალისთვის გორია. სიმატრაბაზეშიაც არ ჩამოუვარდებით, ღმერთი ხომ არის გულთა მხილველი! ჩვენც ვიცით ვერცხლის ქორწილის გადახდა და სატირულის ლექსების წერა. გორში ისე საქმე არ გაკეთდება, რომ კომიტეტი არ დააარსონ. არც ჩვენ ჩამოვრჩით ამ მხრით გორსა, ჩვენც ამოვირჩიეთ არეული (სხვა რამე-კი არ იფიქროთ, არეული ე. ი. შემდგარი კაცებისგან და ქალებისგან) კომიტეტი, რომელსაც მივანდეთ წარმოდგენის გამართვა. ცოტა გაწყდა, წარმოდგენის საქმე არ შეფერხდა პირადობის გამო, მაგრამ მეცადინეობამ მაინც თავისი აასრულა და მონსტრ-წარმოდგენას ველირსენით. ს. მგ—მა და კ. ერ—მა მშვენივრად დაავგირგვინეს წარმოდგენა, რომლისთვისაც მეტად დაძველებული და არხივში ჩაბარებული პიესა ამოერჩიათ: მზის დაბნელება შეიძლება მივარდნილს სოფელში დაიდგას, და არა ცხინვალში, რომელშიაც საკმარისი განათლებული საზოგადოებაა. განა ქართული რეპერტუარი ისე ღარიბია, რომ უკეთესი პიესა არ ამორჩეულა! მაგრამ აქაც უთუოდ იმის ბრალია, რომ ზოგი, როგორც ქართული ანდაზა ამბობს: „მწიხლავს წინ ექცევიან და მრჩოლავს უკან“...

გონების სავარჯიშებლად ვაარსებთ წიგნთსაკითხავს და ქალების სასწავლებელს; გასართობად ვაკეთებთ ლიახვის ნაპირას ბაღს და შემდეგში, თუ ღმერთი შეგვეწია, იქნება ჩვენი გაზეთიც ვიქონიოთ. როგორც მკითხველი ჰხედავს, ცხინვალელები თითქო რაღაცას ვაკეთებთ, ვფათურობთ, მაგრამ ფუქსავატობა ეტყობა ჩვენს შრომას. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ აქ საქმე საქმისთვის-კი არ კეთდება, არამედ სახელისთვის. მაგრამ ბევრი რამ არის იმისთანა დედამიწის ზურგზედ, რომელსაც ჯერ კაცის გონება ვერ მისწდომია. ჩვენც ტყუილადა ვცდილობთ გავიგოთ მიზეზთა-მიზეზი.

ჯერ ცხინვალში ხოლერა არა გვწვევია და ღმერთმა ნურც მოიყვანოს; ისიც გვეყოფა, რომ ორ-ფეხიანი ხოლერები გვეწვევიან ხოლმე, უთუოდ ჩვენი მასპინძლობა მოსწონთ. მოდი და გაამტყუნე ქართველი კაცი, სმა-ჭამა უყვარსო. მაშ აბა თქვენი ღვთის გულისთვინ სთქვით, რა ჰქმნას? არც პურსა აქვს გასავალი და არც ღვინოსა. მაშ რა უყოს? ტყუილად შეინახოს?

„სმა-ჭამა დიდათ შესარგი,
დება რა სავარგულია“ო,

უთქვამს ჩვენს დიდებულს პოეტს და ეს მცნება აქამომდე მტკიცედ არის დაცული საქართველოში. ვისაც ჯვრის-წერა თავის დღეში ფიქრადაც არ მოსვლია, ეხლა ქორწილდება, სადღრეგლი აეშალა, რადგანაც პური და ღვინო იაფია. ძველს დროში ამბობდნენ, ვაზს მოაქვს სამნაირი მტევანიო: ქეიფისა, სიმთვრალისა და ჩხუბისაო. შარშან სიმთვრალის მტევანმა გადააჭარბა ჩვენში, ვნახოთ ამ კარგ მოსავლის მოლოდინში — წრეულ რომელს უფრო გვაჩუქებს ჩვენი ვაზი.

დეურზი

## ზ. ჭ. დიმიტრი ბაქრაძის შესახებ

მე რომ ჩვენის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა ვიყო, ანდერძს დავტოვებდი: „ზ. ჭ—სთან არც არა მილაპარაკნია-რა, არცა-რა მიმინდვია-რა სათქმელად და ნურც არას დაუჯერებთ“, თორემ იმისთანა უცნაურებას მოგიგონებთ და დაგწამებთ, რის თქმის ნებას, არამც თუ თქვენს თავს არ მისცემდით, გაგონებითაც-კი რომ გაგეგონოთ, უსიამოვნოდ გახდებოდით.

ამ დღეებში ჩამივარდა ხელში ბ-ნ ზ. ჭ—ს ბროშურა „დიმიტრი ბაქრაძე“. ამ ბროშურის წაკითხვამ და შიგ მოთავსებულმა სხვა-და-სხვა ცილმა დიმიტრი ბაქრაძის ნალაპარაკევის გამო ისე აგვაღელვა, როგორც მე, ისე მისი სახლობა და სხვა მახლობელნი, რომ, სწორედ მოგახსენოთ, დანაშაულობად ჩავთვალეთ უპასუხოდ დატოვება ისეთ თავ-შეუკავებელისა და თავ-დაუჭერელის საქვეყნოდ ლაპარაკისა მწერლობით, რა ლაპარაკიც გაუბამს ზემოხსენებულის ბროშურის ავტორს.

ვისაც უკითხავს განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის ნაწერები, იცის იმისი საზოგადო მოღვაწეობა, ან იცნობდა განსვენებულს, როგორ ექირა თავი ხალხში, ოჯახობაში, — უეჭველია, ეხსომება, რა აწონილის სიტყვა-პასუხისა და რა ზრდილობის კაციც იყო ჩვენი უწყინარი და ტკბილი დიმიტრი. იმის პირიდგან არა თუ უშვერი სიტყვა არ ამოვიდოდა საზოგადო მოღვაწეებისა და ცნობილ კაცთა შესახებ, არამედ იმასაც-კი არ იკადრებდა, თვით ზნითა და ქცევით დაცემულ კაცს შეჰხებოდა და ავად მოეხსენებინა. ბ. ზ. ჭ—ე-კი ალაპარაკებს ქუჩის ბიჭის სიტყვებით არა თუ იმ გვარ კაცთ, როგორიც იყო გრიგოლ ორბელიანი, გიორგი მუხრანსკი და სხვანი, რომელთაც ყოველთვის პატივსა სცემდა და ჰმეგობრობდა განსვენებული, არამედ ალაპარაკებს უწმაწურისა და სამარცხვინო სიტყვებით ამა თუ იმ წოდებასა, სქესსა, თაობასა, თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას, ჩვენს მამა-პაპას, მთელს ჩვენს ძველებურს დედაკაცობას.

გთხოვთ, დაუგდოთ ნიმუშებს ყური. აი რაებს ათქმევინებს დ. ბაქრაძეს ბ-ნი ზ. ჭ. თავისს ბროშურაში:

ერთხელ გ. მუხრანსკისა და იმის წიგნზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. ამაზედ ბაქრაძემ სიცილი დაიწყო და აი რა სთქვა: „ის დურაკი, უვიცი და ბოროტი... პარიჟში წავიდა, ეგონა აქ(?) გაავრცელებდა თავის უვიცარს(?) მოსაზრებას. აქ თავისი აზიური მოსაზრება ფრანგულს ენაზედ (?) გადასთარგმნა... ეგონა ამ ბოდვას იქაც გასავალი ექნებოდა... იქ სულ იმისთვის არა სცალოდათ, ვილაც აზიელი მუხრანსკისათვის ყური მიეგდოთ... უბედურს სურდა, რომ თავისი ბინძური განზრახულობისთვის...“ და სხვ. (გვ. 14—15).

მეორე ნიმუში:

ჩვენს სამღვდელოებაზედ არა კეთილის შეხედულობისა იყო... „ეგენი ამ საუკუნეში მხოლოდ ჭამისთვის გაჩენილანო. ეგ უზრდელები, ეგ სამწუხარონი, სწორეთ ზიზღს მგვრის მათი დანახვაო... კაცი რომ გინდოდეთ, ერთ კაცს ვერ დაასახელებთ მათგანაო (?), მათში ერთი პირიც არ მოიპოვება... ყველა ლოთები, ცბიერნი, ძმის მოღალატენი, მედონოსეები...“ (გვ. 16—17).

მესამე ნიმუში:

მეტის-მეტად სძაგდა ქართველი თავად-აზნაურობა. იმათ ლოთობას, ლაზღანდარობას და ყომარბაზობას ზიზღით უმზერდა. „იმათი მე არც საზოგადო აზრი მომწონს, არც მიმართულება და არც მოძრაობაო (?) მე სადმე უცხო კრებაში უფრო მივიღებ მონაწილეობას, ვინემც მათშიო. (გვ. 13). და სხვა, და სხვა, და სხვა.

კარგია, დიმიტრი ბაქრაძეს ვყევართ მახლობელნი, რომელნიც ვეცდებით არ შევაბღალვინოთ არავის მისი ჩირქმოუცხებელი სახელი. მაგრამ, ნუ თუ ჩვენ, მისნი ნათესავნი და მახლობელნი, რომ არა ვყოფილიყავით, ჩვენის მწერლობის ვალი არ იყო ედევნებინა ყური და არ დაეტოვებინა აღუნიშვნელად ამ გვარი საზიზღარი ცილი იმ კაცის შესახებ. რომელსაც მცირე ღვაწლი არ მიუძღვის სამშობლო მწერლობის წინაშე?!

რამდენადაც ზემორე მოხსენებული ნალაპარაკევი, იმის ენა, კილო და აზრი ეკუთვნის დიმიტრი ბაქრაძეს, იმდენადვე სიმართლეა იმ სჯასა და სიტყვებში, რომელიც მოჰყავს ბ-ნს ზ. ჭ—ს სხვა მწერალთა და საქმეთა შესახებ, როგორც სჯა და სიტყვები ჩვენის ისტორიკოსისა. ენაც, აზრიც, კილოც ბ-ნ ჭ—ს უცილობელი საკუთრებაა და არა ბაქრაძისა, რომლისაც აზრიცა, კილოც, შეხედულობაც, მიმართულებაც ჩვენ შინაურთა, მასთან თანაშეზრდილთა, თანამოაზრეთა და მახლობელთ, უფრო ვიცოდით, ვიდრე ჭ—მ. ბ-ნ ზ. ჭ. თავის დღეში ისე დაახლოვებული არა ყოფილა ბაქრაძესთან, რომ წარმოეთქვა მასთან თავისი გულის პასუხი. ყველამ იცის, რა დაახლოვება და მეგობრობა ჰქონდა განსვენებულს ბევრ სამღვდელო კაცთან, რა სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა ყოველს ქართულს დაწესებულებას, წოდებასა და თაობას და აბა რა დასაჯერებელია, რომ ის ეთქვას, რასაც ასე თამამად და მოურიდებლად სწამებს ბ-ნი ზ. ჭ.

ვისურვებ, რომ ჩვენს მწერლობას მეტი ყურადღება მიექციოს ამ გვარის ბროშურებისათვის, თორემ რაც დაემართა დ. ბაქრაძეს, იმასვე უნდა

ელოდნენ ჭ—ს გადამკიდე, სხვა მწერალნი და მოღვაწენიც. როგორც ეტყობა, ბ-ნს ჭ—ს ამისთანა საქმე ხელობად გაუხდია და აგერ ჯერ მესამე მიცვალებულის შესახებ დაჰბეჭდა ბროშურა. მიაქციეთ, ბატონებო, ყურადღება: იქნება იქ უარესებია და რად გინდათ, რომ ჩვენთა საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ასეთი უპატიურება მიადგეს და მომავალმა შთამომავლობამ თუნდ ერთს წუთს მაინც იფიქროს, აი რა ხალხი გვყოლია ერთს დროს მეთაურებადა და მოძღვრებადაო.

ქრისტეფორე მამაცაშვილი

ს. მუხროვანი

## დეპეშა

9 ივლისი

**ნიუ-იორკი.** წარსულს კვირას პენსილვანიის რკინის გზის ერთს დიდს ქარხანაში უწესოება მოხდა. რადგან მომუშავეთა ერთმა ნაწილმა მუშაობა აღკვეთა, ქარხნის პატრონმა ნიუ-იორკიდგან 200 კაცამდე კერძო პოლიციელი გამოიწერა, რომ დაეცვა სახელოსნოები და ისევე მომუშავე ხელოსნები პირ-შეკრული მუშათაგან. მუშათა და პოლიციას შორის ჩხუბი მოხდა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი მოკვდა; სულ ბოლოს მუშებმა გაიმარჯვეს და პოლიციელნი დაიმორჩილეს. პენსილვანიის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, ქარხანას ჯარი შემოარტყითო. ამ ჟამად წესიერება აღდგენილია. მეამბოხენი სამართალში არიან მიცემულნი. მეორე შეტაკება აიდევის მიწა-წყალზედ მოხდა, სამთამადნო მუშათა საზოგადო კავშირის წევრთა და არა წევრთა შორის; დამარცხდნენ ის მუშანი, რომელნიც მუშათა საზოგადო კავშირს არ ეკუთვნოდნენ. როგორც ხმა დადის, 9 კაცი მომკვდარა. თუმცა ჯარი გაიგზავნა უწესოების ადგილას, მაგრამ წესიერება იარაღის უხმარებლად იქმნა ჩამოგდებული.

**ვენა.** ვენის საქალაქო გამგეობამ დააკისრა სასტუმროების პატრონებს, რომ დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ, თუ ვინმე რუსეთიდგან ჩამოვიდა და თქვენთან ჩამოხდაო. გალიციის და ბუკოვინის სასტუმრო სადგურებზედ დიდ-ძალი ექიმები გაიგზავნენ საკარანტინო ღონისძიებათა შემოსაღებად, რომლის ძალითაც, სხვათა შორის, მგზავრები რვა დღეს უნდა გააჩერონ და გასინჯონ.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,09 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 1/4 | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — ,, | — ,, | 235 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 221 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | 192 1/2 | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განადისაითს.

**ფოთიდგ გადის:ან**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით,- დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.

წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „

„ „ 2

თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „

„ „ „ 2 „ „ „

„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.

მე-2 „ „ „ „ .

მე-3 „ „ „ „ „

ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „

„ „ 2 „ „

სუკი — — — 14 „

ცხვრის ხორცი — — 9 „

ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „

მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „



# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

## რუხი მგელი

მოთხრობა გ. წ ე რ ე თ ლ ი ს ა

ფასი სამი შაური

კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმეთ დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 2 საათამდე. (150—71)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტიყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |

წ ა რ მ ო ე ბ ა

ასფალტის სამუშაოთა.

ისყიდება

## ასფალტი და გუდრონი

უმაღლესად დამტკიცებული სიზრანის ასფალტის ქარხნის საზოგადოება ტფილისსა და ბათუმში.

მსურველთ უნდა მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ტფილისში, ალექსანდრეს ქუჩა, სახლი № 5 ი. მ. ჩერნიაევს; ბათუმში, ბაღის ქუჩა, სახლი № 3 პ. პ. სუხანოვს. (15—16)

## მაღაზია სარპინკებისა

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი აღაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

## ბენდერ და სცეფანოვი

(35—56—35)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

## ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 10-го Іюля 1892 г.

სტამბა ო. ჩარხისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.